№ 87

ოთხშაბათი, 27 აპრილი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 87

ოთხშაბათი, 27 აპრილი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

თავადი ნიკოლოზ იგივე სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთოვი, კნეინა სოფიო ალექსანდრეს ასული ერისთვისა და **ნატალია ალექსანდრეს ასული ხერხეულიძისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა ძვირფასის მამისა თვისისა ტიტულიარნის სოვეტნიკის **თავადის ალექსანდრე ასლანის ძის ბებუთოვისას**, რომელიც გარდაიცვალა 22 ამა თვეს თავის მამულში წყნეთში, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ გამოსვენებაზედ, 28 აპრილს, ოთხშაბათს დილით 10 საათზედ ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, რადგანაც გვამს წაასვენებენ მოლნინის წმ. იოსების ეკკლესიაში. განსვენებულს დაასაფლავებენ თავადთა ბებუთოვის საგვარეულო აკლდამაში, ხოჯივანქის სასაფლაოზედ. პანაშვიდი იქმნება ყოველ დღე, 7 საათზედ საღამოს 26 და 27 ამ თვეს.

(2—1115—1)

ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დანიშნულია 8 მაისს.

ვისაც სურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

რადგან 21 აპრილს არ შესდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა **საგანგებო კრება**, ამიტომ იგი თანახმად წესდების § 15-ისა, ხელმეორეთ დანიშნულ იქმნა 1 მაისისათვის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი საგნები არიან:

1, მოხსენება სარევიზიო კომისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2, მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების რიგის შესახებ.

4, არჩევა სარევიზიო კომისიისა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა.

და 5, არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.

ტფილისი, 27 აპრილს

ვინც უფრო ბეჯითად ადევნებს თვალ-ყურს დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას და სცდილობს წარსულთან შედარებით დაასურათოს განსხვავება გუშინდელ და დღევანდელ დღეთა შორის, ის, უეჭველია, დაუყოვნებლად სიამოვნებით აღნიშნავს, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება უფრო მკვირცხლია და ძალ-მოცემული, ვიდრე გუშინ, როდესაც, თითქო საგათას ძილით მოცული, სულ-განაბული შეჰყურებდა ცხოვრების უფერულს მსვლელობას და სულიერს მოძრაობის, ბრძოლის შესახებ ფიქრს ვერა ჰბედავდა!..

დღეს-კი სურვილი, მეცადინეობა, რომ დედა-ენა, საკუთარი ისტორია, ჩვენი ავ-კარგიანობა და უფლებანი შევისწავლოთ, შევიგნოთ, დავიცვათ, იმდენად ფეხმოდგმულია, იმდენად გაძლიერებულია, რომ მისი ჩაქრობა, აღხოცვა სუსხიანის ბედისაგან შეუძლებელია!..

ამ საგნის გამო ლაპარაკი მოიტანა იმ გარემოებამ, რომ ამ გვარი სასიამოვნო მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა იხატება არა მარტო მამა-კაცთა შორის: დღეს ამ მოძრაობისა და შრომა-მეცადინეობის სათავეში სდგანან მანდილოსანნიც და თავისის პატიოსანის, გულწრფელის შრომით იმათაც შემოაქვთ ჩვენს სულიერს ცხოვრებაში სიფხიზლე!..

დიაღ, ისინიც მეთაურობენ საზოგადო საქმეს, ვინც დღემდის, არამც თუ ჩვენში, არამედ ბევრად უფრო განათლებულ ქვეყნებშიაც სასაყვედურო საგნად იყვნენ გარდაქცეულნი და იმათ ცხოვრების საგნად, მხოლოდ მორთვა-მოკაზმას, შელამაზებას, გულის სიხალისისას და სიამოვნების ფიქრსა ჰსახავდნენ... დღეს სწორედ ეს მანდილოსანნი თითით საჩვენებელნი გამხდარან ჩვენში!..

რათა? როგორ?—მისთვის, რომ ისინი, ამ ბოლოს დროს მარტო პრანჭვა კოპწიაობას არ ანდომებენ თავის ცხოვრებას; ამისათვის, რომ ისინიც გამოფხიზლდენ, ცხოვრებას ჩაუკვირდენ, საუკეთესო საქმე შეიგნეს; იმისათვის, რომ ბევრი მათგანი არამც თუ მამა-კაცთა საზრუნველად და ტვირთად არ გამხდარა, როგორც ზოგიერთნი ღაღადებენ, არამედ თავის საკუთარის, პატიოსანის შრომით ლუკმა პურსა ჰშოულობს და იმასაც ხშირად თავის ოჯახს, სიღარიბით, ანუ სიუძლურით დაცემულს, ყმაწვილებს, სთავაზობს!..

მაგრამ, გარდა ყოველისავე ამისა, გარდა იმისა, რომ უმრავლესობა ახალგაზდა მანდილოსანთა სცდილობს ძველებურად შეიგნოს, შეისწავლოს ხელ-საქმე, ოჯახის გამგეობა, მისი ავ-კარგიანობა,—გარდა ამისა, ისინი ყოველსავე საშვალებას ჰხმარობენ ისწავლონ, განვითარდენ ქვეყნის საჭიროებას დაეხმარონ!.. ჩვენის აზრით, საკმარისია აქვე აღვნიშნოთ რამდენიმე მათ მიერ დაწყებული საქმე, რომ სრულიად გამოვცვალოთ მათ შესახებ ის აზრი, რაც დღემდის არსებობდა.

ამ ორი-სამის წლის განმავლობაში ქალების მეთაურობით დაარსდა ტფილისში საკვირაო სკოლა, სადაც რამდენიმე ათი და ოცი, ქალი, თუ კაცი სრულიად უფასოდ, უსასყიდლოთ სწავლობს წერა-კითხვას რუსულსა და ქართულს ენაზედ; შეძლებისა - და გვარად იძენს ცნობებს სამღვთო სჯულისა, ბუნების მეტყველებისა და ბელეტრისტიულის ნაწერებიდან...

ამ გვარივე სკოლა დააარსეს მანდილოსნებმა ქუთაისში...

ამ სკოლის დაარსებას მოჰყვა თან დაარსება მათ მიერ სახალხო ბიბლიოთეკისა, როგორც ტფილისში, აგრეთვე ქუთაისშიაც...

ქუთაისში დააარსეს იმავე მანდილოსნებმა ორი წრე: ერთი, რომელიც შეუდგა პედაგოგიურ წერილების კითხვა-შესწავლას და საზოგადოდ გონების განმავითარებელ ნაწერების შეგნებას, და

ფელეტონი

„შენმა სულმა ზლოს!..“

(სურათი)

იქნებოდა დილის რვა საათი, როდესაც გაიღო ქ. თ—ვის სასტუმროს კარები და ქუჩაში გამოვიდა ხუთი ყმაწვილი-კაცი. იმათი დაწითლებული თვალები და გაჭარხლებული სახე აშკარად გამცნობდათ, რომ წარსული ღამე უძილოდ გაეტარებინათ.

ეს ახალგაზდობა ერთს ხანს ქუჩაში გაჩერდა უსაგნოდ, თითქოს არ იციან, საით წავიდნენო. ბოლოს ერთმა მათგანმა სთქვა:

— ოხრებო, რას გამოშტერებულხართ? შინ აღარ წაეხირებით? მთელი ღამეა დავწრწით და ერთი კვირაა რიგიანად თვალი არ მოგვიხუჭია...

— ჭკუის კოლოფი აბა შენა ხარ აი, ილიკო!..—გააწყვეტინა მეორემ სიტყვა პირველს—კაცო, ეხლა, ამ მშვენიერს დილას კაცი სახლში შევა? მერე რა დაგრჩენია შინა? მე ვიცი საქმე საქმეზე არ გააკეთო აი!.. შევიდეთ „ბულვარში“, გავისეირ-გამოვისეირნოთ და სადილობაც შემოგვესწრება, სულერთია, სადილი ხომ ერთად უნდა ვჭამოთ...

ყველანი დაეთანხმენ ამ წინადადებას და კრებულმა გასწია ბაღისაკენ, რომელიც აქვე ახლოს იყო გაშენებული. მართლა გაზაფხულის მშვენიერი დილა იყო, გარშემო ყველაფერი მწვანით შემოსილიყო და ჰაერში სამო სურნელება იფანტებოდა. ჩვენი ახალგაზდობა შევიდა ბაღში და მოაჯირთან მდგომ ცაცხვ ქვეშ გაჩერდა, ზოგი მოაჯირს დაეყუდა და ზოგიც „სკამეიკაზე“ გადაიშხლართა.

— ილიკო, რამდენი გამოგართო სულხანამ დანახარჯისა?—შეეკითხა ერთი ახალგაზდათაგანი იმ ყმაწვილს, რომელიც შინ წასვლას ურჩევდა.

— რაღა რამდენი—11 მან. და ათი შაური... ეს ოხერი, განა რა ვჭამეთ იმდონი, რომ ამოტოლა „სჩოტი“ წარმოგვიდგინა? — იკითხა თავისის მხრით ილიკომ უკმაყოფილო სახით. კაცო, მარტო ორი სუკი თორმეტი აბაზი მიანგარიშა...

— არა გიშავს-რა დაამშვიდა მეორემ—შენ ისა სთქვი, რომ შენი არა დაგიხარჯავს-რა... რაში გენაღვლება, ან რათა გშურს იმ სირაჯის ფულები, იმან იცეს თავში ქვა, რომ ღვინოსათვის ფული არ დააკლდეს... მართლა, ბიჭო, მოდი დღეს სუფრა გაგვიპატიოსნე, ზურნასაც შენს ხარჯზე დაუძახე და ამით მადლს ბარემ მარილიც მოაყარე...

— ეჰე!.. ვისი ბალღი დაიარები ემაგრე დარდიმანდი?!. არა, შვილო, ეგეც გეყოფათ, ჩოხა უნდა შევაკერვინო დანარჩენის ფულით. ამ დღეებში ქორწილ'ში ვარ დაპატიჟებული...

— რატომ არ შეიკერავ?!. უპასუხა ამხანაგმა დაცინვით—შენი რა გეხარჯება? ძაღლის ბედი მოგივიდადა...

— მართლა რომ ძაღლის ბედი მოგივიდა აი, ილიკო!.. შეჰყვირა მესამე ამხანაგმა.—მერე შე ძაღლო კაი „უდარზედაც“ იყავი, ზედაც შარებიც გწყალობდენ, ერთის სიტყვით, „ლუზებისაკენ“ თავის-თავად მიექანებოდნენ.

— შენ ეგა სთქვი და, თავში სულ ის „დუბლეტი“ მიტრიალებს!.. გააწყვეტინა სიტყვა მოლაპარაკეს ერთმა ჰაბუკმა და ალტაცებით ზედ დაურთო:—ამდენი ხანია, ბილიარდზე ვთამაშობ და ჯერ არავის ხელით არ მინახავს ასე „შიკურად“ შარის ჩაგდება.

— აბა, სწორედ მაგ „დუბლეტმა“ წამცხო კისერში აი... წარმოსთქვა ილიკომ დანანებით.—თორემ ჩემი „პარტნერი“ არ შეშინდებოდა და ბევრს წააგებდა, რომ კიდევ ეთამაშნა. ახ!... გამიფრინდა ხელიდამ ის გვრიტი... ძალიან დარდი ჩამრჩა იმისი... „პორტმანი“ რომ გახსნა—„კატოს ბილეთებმა“ თვალები ამიჭრელეს! ვასიკო, აბა ერთი კიდევ შემახვედრე ის გაბერილი და, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ისეთი დღე დავაყენო, რომ ბოჭკებს გვიგირავებდეს!...

— შენი თავის გახეთქამ! როგორ-არა? იმედით იყავი... შენ რომ გულუხვად ირჯები.. შე უმადლო, სულ ჩემი ბრალი არ იყო, რომ სამი თუმანი და „ბუჩული“ მოგ·გებინე? შენ-კი ზურნაც არ გნებავს შემოგვეწიო? თუ გინდა იმ სირაჯის ხელში ჩაგდება—ზურნით მოდი... თანახმა ხარ?, ჰა? თანახმა ხარ მეთქი?—განუმეორა ილიკოს ვასომ რამდენისამე ხნის სიჩუმის შემდეგ.

— აი, გაგიწყრეს ღმერთი!.. თანახმა ვარ—შენ ვის არ დასძლევ? ეშმაკს შეაცდენ! უპასუხა ღიმილით მცირედის ყოყმანის შემდეგ ილიკომ.

— მაშ ეს არის!.. დღეს ჩემი სტუმრები ბძანდებით, ყმაწვილებო... მიმართა დაცინვით ვასომ დანარჩენებს. —ილიკომ ხომ ზურნა შემომაწია, ღვინისთვის მე ავიჩარჩები და თქვენ, ოხრებო, სხვა ხორაგი მაიტანეთ... ერთის სიტყვით, ისეთი „დროება“ უნდა გავატაროთ, რომ ჩვენ, ქალაქს არ ენახოს... მერე ტკბილის დუდუკით ჩემი „დუშკის“ ფანჯრებისაკენ ჩავიაროთ...

— გეყოფა, გეყოფა... არ გაფრინდე! გააწყვეტინა ოცნება ვასოს ერთმა ამხანაგმა.—თავი დაანებე მაგ „ტელიაჩი ვასტორგს“ და შენ ისა სთქვი—დედა შენი არა გცემს, როცა მეოთხე ბოთლში ზიხარ ხოლმე... შენი არ ვიცი—და მე-კი დედაშენისა ძალიან მეშინიან... მერე რა მტრულის თვალით მიყურებს, ასე ჰგონია სულ მე ვიყო მიზეზი შენის გარეწრობისა...

— ნეტავი შენ—ყურადღებას აქცევ ბებრის ყმედობას... შენ თუ გეშინია იმისი თორემ მე სულაც აინუმში არ მომდის იმისი ჯავრობა—უპასუხა უდარდელათ ვასომ.

ამ გვარ მუსაიფში იყვნენ ეს ყმაწვილები, როდესაც საუბარი შეაშლევინა მთხოვარას ხმამ. მარტო ერთი დანახვა ამ მთხოვარა დედაკაცისა უსიამოვნების ჟრუანტელს მოჰგვრიდა ადამიანს, თუ სულ ცოტათი მაინც სიფაქიზის მოყვარული იყო. ეს საზარელი არსება გამოხვეული იყო ათას ნაირად დაბრასტნილს კაბაში, რომელიც, ზოგან დაგლეჯილი იყო და ჟანგის ფერი დანაოჭებული ხორცის კანი მოსჩანდა. თითქმის მუხლებამდის ტიტველი ფეხები სიცხეს დაეხეთქა და დაეკორჟებინა. უწარბ-წამწამო, ნაოჭათ ასხმული, გამხდარი სახე, ბუდეში ღრმათ წასულის ,თვალებით უსიამოვნოდ ჰქონდა გლახას დაპრანჭული. კაბის ზედა ტანს ღილები არ ეკერა და ძვალ-ტყავად გადაქცეული გულ-მკერდი, ხაზებათ დასერილ-დაფხაჭნილი მოკიდებულის ჭუჭყით კაცს შეაშფო-

მეორე—რომელსაც ჩვენის ქვეყნის ისტორიისა, ლიტერატურისა და ენის რიგიანად შესწავლა საგნად აქვს აღებული. ამას გარდა დააარსეს ტფილისში საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს ჰბეჭდოს და უფასოდ გაავრცელოს ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეში ადვილად გასაგები სახალხო წიგნაკები...

დღეს-დღეობით ვათავებთ ჩვენს წერილს იმ სურვილით, რომ წარმატება და სიმხნე არ მოაკლდეთ ამ დიდ-მნიშვნელოვან სარბიელზედ ჩვენ პატივცემულ მანდილოსანთ.

მენავე

ახალი ამბავი

⁂ ქ-ნმა ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ შემოსწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მომავალს ლატარია-ალეგრის ცამეტი ძვირფასი და დიდად ლამაზი საგალანტერეიო ნივთი.

ქ-ნმა დარია იოსების ასულმა შანშიევისამ—ორი ვაზა.

ქ-ნმა თალალა იოსების ასულმა ყაზაროვისამ—ექვსი ცალი ყავის ფინჯანი თავის ლამბაქებითურთ და ბროლის ვაზა.

ქ-ნმა ანნა მოსეს ასულმა დონდოროვისამ—ერთი სასუხრე.

ქ-ნმა სოფიო იოსების ასულმა დავრიშევისამ—ორი თეფში და ფლისტის მოქსოვილი პირი.

ქ-მა ფატინე მიხეილის ასულმა ბერეჟიანისამ ერთი ხავერდის ბალიში მძივით ნაკერი.

⁂ ჩვენ მოგვივიდა პაწია წიგნაკი ჰაზირის ახალი სასიმღერო ლექსები, მიხეილ ზარიძის მიერ გამოცემული. ამ წიგნაკში ათამდე ლექსია მოთავსებული, სხვათა შორის ხალხში გავრცელებული ლექსი „შავის ზღვის ნაპირას ჩვენი ქვეყანა“.

⁂ დ. ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა): კვირა-ცხოვლობას ერთი საშწუხარო ამბავი მოხდა: ბ-ნი ვ. დუდუჩავა, დეპეშის სადგურის მოხელე, ნადვინევი მიდიოდა და ამბობდა, დღეს ბურთი უნდა ვითამაშოვო. ამ დროს, როცა მიაღწია ბურთთან, დაინახა ერთი ნაცნობი ახალგაზდა ცოცა (ქალი), მივიდა მასთან დაჯდა და თავი კაბის კალთაში ჩაუდო. ქალმა ეს იუკადრისა, ადგა და თავის მაზლს გააგებინა ეს ამბავი. მაზლი წამოვიდა მივიდა ბ-ნ ვ. დუდუჩავასთან და უთხრა: როგორ გეკადრება, შენ ნასწავლი კაცი ბრძანდები და ხალხში ჩემს რძალს კოცნას უპირებო. ვასილ დუდუჩავამ მრისხანე პასუხი მისცა მაზლს. ეს მაზლმა იუკადრისა, იძრო ხანჯალი დასცა თავში და თავი შუაზედ გაუჩეხა. ჭრილობა ძლიერ დიდია, ამბობენ, ვერ მორჩებაო. როცა ქალმა კაცი სისხლში გასვრილი დაინახა, მორთო ტირილი.

⁂ სოფ. ბაკურციხე: ძლივს რის ვაი-ვაგლახით გავატარეთ ეს ბოროტი დიდ-მარხვა. აი წავიდეს და აღარ მოვიდეს ასეთი უარარაო და უბარაქო, როგორადაც ეს იყო ჩვენთვის, მაგრამ, რომ სთქვას კაცმა მარხვისა-კი რა ბრალია, როცა თვით წარსული წელიწადი იყო ასეთი მოუსავლიანი და უარარაო, თორემ განა კვლავ-კი არ შეგვინახავს დიდმარხვა, რომ ასე არ შევწუხებულვართ: როცა რიგიანი მოსავლიანი წელიწადი ყოფილა ჩვენში, მაშინ ყველას ამ დროსთვის სამყოფი სხვა-და-სხვა სამარხო საგძალიც გვქონია შენახული, მაგრამ ის წყეული წარსული წელიწადები ზედი-ზედ ისეთი მოუსავლიანი დაგვიდგა, რომ არა თუ სამყოფი, თვით ის დასანახავადაც-კი დაგვენატრა ყველაფერი, რაც კვლავ თავ-საყრელად გვქონია. სხვა რომ არა იყოს-რა, ხუთ-ექვს ნაირი სხვა-და-სხვა ლობიო მოჰყავდათ ჩვენში, მაგალითად, ფიჩხის ლობიო, ჭრელი ლობიო, კუტი ლობიო, მამაკალია ლობიო, მუხუდო, სამარხო და სხ. ასე რომ ჩვენის სოფლის ხალხს მარხვის შენახვით თითქმის არაფერი ხარჯი არ მოსდიოდათ, ყველაფერი სამარხო საჭმელი სახლში ჰქონდათ. ზოგს იმდენიც მოსდიოდათ, რომ ჰყიდდნენ კიდეცა და ყიდვით-კი არას ყიდულობდნენ. წელს კი სულ სხვა იყო, კვლავ როცა ლობიო ფუთი 15—20 კაპეიკად იყიდებოდა, ეხლა გირვანქა 8—10 კაპეიკ ნაკლებ არ იშოებოდა. ასეთის სიძვირის გამო მარხვის შემნახველთ სამარხვო საჭმლის ყიდვა უფრო ძვირად უჯდებოდათ, ვიდრე სახსნილო სანოვაგეულობა.

⁂ 25 აპრილს ბაღის ქუჩაზედ მკურნალის მკირტიჩიანცის სახლის შენობის ხის მასალა ჩამოინგრა და ოთხს მუშას დაეცა. მუშები მსუბუქად დაშავდნენ, ერთი მათგანი—ტარასევი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს მუშტაიდთან ტფილისის ვაჭართ დავით ჯანჯულაზოვს ყელსახვევიდგან 500 მან. ღირებული ალმასის ქინძისთავი ამოაცალეს, დამნაშავენი ებრაელნი მავეკი და ხალუპოვიჩი უკვე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომრის ახალ ამბებში შეცდომით დაბეჭდილია გრაფი ტატიშჩევი გრაფ ტიზენჰაუზენის მაგივრად.

დამაკვირდი

ვინც არა იცის-რა, იმან ყოველივე უნდა ირწმუნოს.

მარია ებნერ-ეშენბახი

⁂

სიტყვა გამჟღავნებული აზრია, ხოლო აზრი დაფარული სიტყვა.

რივაროლი

⁂

პირველი და უმესანიშნავესი, რაც საჭიროა, რომ ყმაწვილმა ასწავლოს,—ტანჯვის ატანაა.

ჟ. ჟ. რუსსო

ქალაქის საბჭო

25 აპრილს

სხდომის დაწყებისთანავე ქალაქის თავმა ვ. ა. იჟმაილოვმა მიჰმართა საზოგადოებას შემდეგის სიტყვით: გაზეთებიდგან უკვე შეტყობილი გექნებათ მთელის რუსეთისათვის სასიხარულო ამბავი მემკვიდრე ცესარევიჩის ჰესსენის პრინცეს ასულ ალისაზედ დანიშვნისა. გუშინ სიონის ტაძარში ქალაქის მცხოვრებნი მადლობას სწირავდნენ უზენაესს და უავგუსტოესს სახლობას დიდის ხნის სიცოცხლე უსურვეს. ამ მიზეზით გთხოვთ უგულითადესი და უღრმესად უქვეშევრდომესი მილოცვა გაუგზავნოთ ქალაქის თვით მართველობისაგან მათს იმპერატორობით უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფე იმპერატრიცას და მემკვიდრე ცესარევიჩს დანიშნულითურთ. ამასთან კომისია იქმნას არჩეული იმის გამოსარკვევად, თუ ქალაქმა როგორ იდღესასწაულოს ეს სასიხარულო ამბავი.

ეს სიტყვა საბჭომ ფეხზედ მდგომარემ მოისმინა.

დასასრულ, ამოირჩიეს ამ კომისიის წევრებად: ზ. ა. დავიდოვი, მ. ი. თამამშევი, ა. ა. იოანნესიანი, ა. ი. ალხასუმოვი.

შემდეგ სხვათა შორის საბჭომ 1700 მან. გაადიდა განყოფილებათა მზრუნველების ხარჯად.

ამ მზრუნველების თანამდებობაზედ კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნენ:

1 განყოფილების მზრუნველად—ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი და ფ. ი. კარსკი; მე-2 განყოფ.—გ. ი. სირენკო და ნ. ზ. ხოსროვი; მე-3 განყოფ.—ი. ს. ბუღდანოვი და ა. ა. შახაზიზოვი; მე-4 განყოფ.—თ. ნ. კ. არღუთინსკი-დოლგორუკი და ნ. -. თამამშევი; მე 5 განყოფ.—ნ. ს. კუსიკოვი და გ. მ. წერეთელი; მე-6 განყოფ.—ა. ს. ბაღდასაროვი და ა. ი. ტერ-გრიგორიანცი; მე-7 განყოფ.—თ. ნ. ზ. თუმანოვი და ა. ი. ტერ-გრიგორიანცი; მე-8 განყოფ.—ნ. ფ. აგაშევი და ა. ი. ხრისანოვი მე-9 განყოფ.—კ. ც. ბუტკევიჩი და ვ. მ. იაკიმოვი და მე-10 განყოფ.—ა. ს. ბაბოვი და გ. ა. სტეფანოვი.

შემდეგ სხვა-და-სხვა ქალაქის მიწების იჯარით აღების თხოვნა იქმნა განხილული. ესენი თხოულობდნენ, რომ ეს მიწები ან მოგვყიდეთ ან დიდის ხნით იჯარით მოგვეცითო. საბჭომ გადასწყვიტა იჯარით მისცეს 6 წლის ვადით 25 კვ. საჟენი.

ამას გარდა, სასწავლებლის კომისიის თხოვნით საბჭომ გადასწყვიტა, ამ კომისიას ჩუღურეთის სასწავლებლის შენობის ასაგებლად გადასცეს 12,000 მან.

დასასრულ ამორჩეულ იქმნა კენჭის ყრით ამ კომისიის თავმჯდომარედ ნ. ი. კარაპეტოვი.

კორესპონდენცია

სად. ზანჯა. პასექის დღესასწაულს აქ მშვენიერი მზიანი დღე იყო, რის გამოც ერთმანეთში მიმოსვლას არაფერი აბრკოლებდა; მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელ ხანებში იშვიათია ისე დღესასწაულის მხიარულად გატარება, რომ რაიმე უსიამოვნება, ჩხუბი და უბედურება არ მოჰყვეს: აღდგომა დღეს მამა და შვილი შალიკაშვილები, რომლებიც კონდუქტორები არიან, დაესივნენ ნადვინევს კაცს, მელიას (ესეც კონდუქტორია), და რაც შეეძლოთ სცემეს. ამის მიზეზად ესა სთქვეს შალიკაშვილებმა, რომ მელიამ შეგვაგინაო. ეს საქმე სასამართლოს გადაეცა. ამავე დღეს ორი ძმა მაშინის მოხელენი წაიჩხუბნენ და ერთმა მეორეს ხელის თითი მოაკვნიტა, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა: ამის მოკვლაც უნდოდა. თით-მოკვნეტილი კაცი შევარდა ოთახში, მაგრამ ძმა

თებდა. დაუბანელს ხელებს დედაკაცი მალ-მალ თმაში წაივლებდა ხოლმე. ტუჩებზედ აქეთ-იქით ქაფი მოსდგომოდა. მთელი მისი სურათი საზარელი დასანახავი იყო.

— შვილოოოო... ხმა-გაჰკინურებით წამოიძახა დედაკაცმა და ხელების სავსავი დაიწყო—ხსენებულ კრებულთან მიახლოვებისთანავე—მოწყალება მოიღეთ, აგრემც ღმერთი გაგაბედნიერებთ... გამიკითხეთ გლახა უნუგეშო, მშიერი... და ამასთანავე გულში ხელები ჩაიკრა სასოწარკვეთილებით.

— ოჰ, ბაბალე! როგორა ხარ?—მიმართა ღრეჯით ვასომ. ჰმ, რამდენი იშოვნე დღეს, მოიტა მასესხე... ღმერთმანი, სარგებელს მოგცემ.

— იი, შვილო!—გააქნია წუწუნით თავი გლახამ და ამასთანავე ტუჩებზე დორბლის ბურთი შეუთამაშდა—ვინ მომაქვავა ფული? იმის ღირსს ვინ გამხდის!.—აგრემც თქვენ მშობლებს დაურჩებით—მაჩუქეთ რამე!..

— აი, იმ კნიაზს სთხოვე, წეხელის ბევრი ფული მოიგო. მიუთითა ვასომ ილიკოზე და თან ღრეჯით ელოდებოდა, ილიკო რას უპასუხებსო.

ბაბალემ ილიკოსაკენ გასწია.

— იქით დაიკარგე, ქოფაკო, თორემ ისეთს პეტლაყს გიპირებ, რომ... აქ ილიკომ ერთი სიტყვა წამოისროლა, რომელიც სმენას შებღალავს.., ამ სიტყვებზე ბაბალეს სახე საშინლად დაიღმიჭა, ტუჩების ტოკვა მოაყოლა, ეტყობოდა, რომ რაღაცას ამბობდა, თითქოს ლოცულობსო. ყმაწვილს არა უპასუხა-რა, უკან დაიხია, წასვლით-კი არ წასულა იმ იმედით—იქნება გამოვრჩე რასმეო.

— ბაბალე, რამდენი წლისა იქნები? ჰკითხა კვლავ ვასომ, რომელიც ღიმილით მიუახლოვდა გლახას.

— სამოცზე მეტისა, შვილოოოო...

— გეტყობა ახალგაზდობისას ლამაზი იქნებოდი—უთხრა ვასომ ღრეჯით; იმის სიტყვებს თან ამხანაგების სიცილი მოჰყვა.

-- მართლა, ლამაზი იყავი?

— იი, შვილო, რა მოსაგონია?.. მაჩუქე რამე, ღვთის გულისათვის!..

— ჯერ მითხარი, ლამაზი იყავი თუ არა და მერე გაჩუქებ.

— რატომ ქა, ჩემს ტოლებში მეც ვიხსენიებოდი.—სთქვა ბებერმა, ვითომ თავმოწონებით და იმის სახეს მეტად უსიამოვნო მეტყველება დაეტყო.

— მეკობრები არა გყავდნენ? წასჩურჩულა ყურში ვასომ, მხოლოდ ისე-კი, რომ ეს სიტყვები იმისმა ამხანაგებმა კარგად გაიგონეს და სიცილი მორთეს.

ბაბალემ არა უპასუხა-რა ამაზედ ვასოს და თავი მოარიდა ყმაწვილებს.

— თავი დაანებე, შენ შენი ღმერთი ვასო, მაგ მურტალს; მეჯავრება რო უყურებ, მიმართა ილიკომ თავის ამხანაგს და ამასთანავე ზიზღით შეჰხედა მთხოვარას.—წადი დაიკარგე იქით, შე მაწანწალავ!..

ამის გაგონებაზე ბაბალეს მიმქრალ თვალებიდამ ბოროტი ნაპერწკალი გამოჰკრთა, სახეზე სიყვითლის ფერმა გადაჰკრა და ხელები ინსტიკტურად მუშტათ მოკუმშა, თითქო ემუქრება ვისმეო. ეს ცვლილება სწრაფად დაეტყო სალოდავს მათხოვარას და წამსვე ისევ ჩვეულებრივის მათხოვრის სახე მიიღო და ხვეწნით უთხრა ილიკოს:

— რათა მრისხავ გლახაკს, შვილო?! აგრემც ღმერთი ჩემოტონათ მოგყრის, მაჩუქე რამე... დღეს არა მიჭამია-რა...

— ეგ თოფრა რაღა არის, შე ქოფაკო? მიუთითა ილიკომ ტილოს დაგლეჯილ პარკზე, რომელიც ბაბალეს მხარზე გადაგდებული ჰქონდა ბაწრით. პურით არ არის გამოტენილი? აიღე და ხეთქე... რას დადიხარ და ხალხს აწუხებ?..

—მაიცა, თუ ძმა ხარ.—გააწყვეტინა სიტყვა ილიკოს ვასომ.—რა დროს ჯავრობაა? მე სიცილის გუნებაზე ვარ და შენ-კი ხელს მიშლი. მერე ბაბალესაკენ მიბრუნდა, ჯიბიდამ ორი კაპეიკი ამოიღო და დაანახვა. ფულის დანახვაზე ბაბალე მთლად შეიცვალა, ცახცახმა აიტანა და გული ისე უცემდა, როგორც შეშინებულს ჩიტს. იგი წასწვდა ვასოს ფულის გამოსართმევად, მაგრამ ვასომ უკან დაიწია.

— აბა, ბაბალე, ერთი შეხტი, თუ ეს ორ კაპეიკიანი გინდა გაიკრა,—უთხრა გლახას და თან ფულიც დაანახვა. ბაბალემ დაუყოვნებლივ აასრულა ვასოს სურვილი, მაგრამ შეხტომის დროს პარკის ბაწარი გაუწყდა და პურის ნატეხები წამოცვივდა მიწაზე ჩამოვარდნილ პარკიდამ. გლახა დაიღუნა პურის ასაკრებად და ამ დროს თავ-სახვევი, რომელიც დონდლედ ჰქონდა თავზედ მოხვეული, გაეხსნა და ძირს დავარდა. ვასოს თვალ-წინ წარმოუდგა აქამდის ხელცახოცით დაფარული საშინელი ჰუჰყიანი კისერი, თებოიანი თმა. ამ სურათის დანახვამ ილიკოს, რომელიც ამ ჟამად გლახას და ვასოს ახლო იდგა, ზიზღი აგრძნობინა; გაგულისებულმა ილიკომ დააფურთხა ზედ თავზედ ბაბალეს და სწრაფად მოშორდა. ამ საქციელმა ვასოს ამხანაგებს სიცილი მოჰგვარა და ბაღში თავდაუჭერელი ხარხარი გაისმა.

ეს დამცირება-კი ვეღარ მოითმინა ბაბალემ, როცა დაინახა მეტადრე, რომ ვასო მოშორდა და ფული ჯიბეში ჩაიდვა. ბაბალეს საშინლად დაეწვა გული და წყევლითა და ქოქით მიმართა ილიკოს:

— დაგწყევლოს ჩემმა სალოცავმა წმინდა გიორგიმ, შე არ გასაჩენო, დედის ძუძუს მომჭრელო; არ გაგათენოს ხვალინდელი დღე მაღალმა ღმერთმა, შე გაუკითხავო!!.

ბაბალემ აკრიფა პურის ნაჭრები, გადიგდო მხარზე პარკი და წყევლა-კრულვით მოშორდა ახალგაზდებს, რომელნიც კვლავ ისევე ხარხარებდნენ, თითქო წყევლის მაგიერ, ლოცვა-კურთხევით მოეხსენებინოს მოხუცებულსა, შიშველ-ტიტველსა და წუთი სოფლით გატანჯულს ადამიანს.

II

ჯერ ბაღში კიდე სიცილი არ შეწყვეტილიყო, როდესაც ბაზრის მხრიდამ წივილ-კივილის ხმა მოისმა. ეს ყიჟინი გაერთებულ ხმაურობად იყო გადაქცეული, რისგამოც ვერ გაარჩევდით, ვინა ჰყვიროდა, ან ვის უყვიროდა. მხოლოდ ამ საერთო ძახილში აშკარად გამოირკვეოდა წვრილი ბალღების ხმა, რომელნიც თან და თან ბაღს უახლოვდებოდნენ. ბაღის გვერდით განიერი ქუჩა მიდიოდა ბაზრისაკენ. ბაღის გათავებისათანავე ქუჩის ორივე ნაპირას დუქნები იყო ჩამწკრივებული და სწორედ ამიტომაც, მყვირალთა გუნდი არა სჩანდა, რადგანაც ჯერ დუქნებს არ გამოსცილებოდნენ.

ამ ყვირილის ხმა ილიკოსა და იმის ამხანაგებსაც შეესმათ.

— არიქა, ბიჭებო, „კაცი-კალია“ მობძანდება თავის «სვიტით»!... დაიძახა მხიარულად ვასომ და ხელი დუქნებისაკენ გაიწოდა, საიდამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეკიდა. ოთახში მყოფმა იფიქრა, თუ არ გადავიმალე სადმე, უეჭველად მომკლავსო, და მივარდა ფანჯარას, უნდოდა გადამხტარიყო მაგრამ შიშისაგან ისე აირია, რომ ვეღარ გააღო ფანჯარა, მინა გაამტვრია და გაძრომას აპირებდა, მაგრამ მოსული ვაჟკაცია და ამის გამო ისე საცოდავად გაეკეტა შიგ და დროზედ რომ ხალხი არ მიშველებოდა, ვინ იცის რა უბედურება დატრიალებულიყო. ძლივს-ძლივობით გამოათრიეს მინისაგან დაკაწრული. მესამე შემთხვევა კიდევ იყო ამავე დღეს რომ აქაურ რკინის გზის დარაჯმა, აღდგომა საღამოს რკინის გზის საავადმყოფო მიღეწ-მოლეწა და ბახუსისაგან ჭკუა დაბნეულმა თავისისავე ხანჯლით მარცხენა ხელი მძიმედ დაიშავა. ეს დარაჯი ამავე დღეს სამსახურიდგან დაითხოვეს.

დიდმარხვის უკანასკნელს კვირაში აქ რამდენსამე რკინის გზის მოსამსახურეთა ოჯახში ყელ-ჭირვება აღმოჩნდა. ერთი ხუთი წლის ვაჟი კიდეც იმსხვერპლა; რომელიც აქაურ რკინის გზის სადგურზე ბილეთების გამყიდავ ქალს ჰყავდა ტფილისიდგან მოყვანილი, გვარად რეზნიკოვი.

აქაურმა ექიმმა ითხოვა: მომიყვანეთ ფერშალი, აგრეთვე ორი სანიტარო ვაგონი დააწესეთო. ავადმყოფები ტფილისისა და ბაქოს საავადმყოფოებში იგზავნებიან და სენის მოსასპობად ღონის ძიებაა ხმარებული.

დ.

◆

რუსეთი

იმის შემდეგ რაც ნოტარიუსის კანტორებში ქალებს მიეცათ უფლება იმსახურონ, ამ დაწესებულებებში მართებულება და წესიერება დამყარდა, რადგანაც ქალებმა მოსამსახურეთა მორიდება გამოიწვიეს.

—

რუსეთში ახლა მრავალ ალაგას აარსებენ მოძრავ ბიბლიოთეკებს, რომელიც დააქვთ და ხალხს ურიგებენ საკითხავად.

◆

შესანიშნავი კაცნი

III

ვიქტორ ჰუგო

ნაპოლეონ მესამის დროს ვიქტორ ჰუგოც განდევნეს სამშობლოდამ, რადგან, როგორც ლომი, ისე გრგვინავდა ყოველ გვარ უსამართლობისა და ძალ-მომრეობის წინააღმდეგ.

«ვაი იმას, ვინც მე გამდევნა, თორემ მე რა მიშავსო, ამბობდა ვიქტორ ჰუგო. ჩაიხედეთ ისტორიაში. დიდებულს კაცებს უფრო მეტად შეურაცხ-ჰყოფდნენ. შეურაცხება კაცისა ძველი ზნეა ადამიანთა; ქვისსროლა საყვარელი საქმეა იმათი, ვისაც ხელში საქმე არა უჭირავს-რა. ვაი იმათ, ვინც ცოტა მეტია, ცოტა მაღლა სდგას საზოგადოებაზედ; მწვერვალის თვისება ეგ არის, რომ ზემოდამ ელვას იზიდავს, ქვევიდამ—ქვებს; ეგ არის იმათი დანაშაული. ახია იმათზე, რად არიან მწვერვალნი? ყველა იმათ უყურებს და ავსა და აუგს ამბობს. გამვლელ-გამომვლელი, შურიანი ყოველთვის არის ქუჩაში; იმისი საქმე ძულებაა; მუდამ ჰნახავთ ამისთანა დაკნინებულს, სულ-მდაბალს, გულ-მოსულს, გაბრაზებულს. დიდებულ კაცთ ძილი და მოსვენება არა ჰქონიათ. დიდება—ოქროს ლოგინია, ბაღლინჯოებით სავსე».

ერთხელ ერთის დამნაშევესათვის თავი უნდა მოეკვეთათ, მაგრამ რადგან ღონიერი იყო, ჯალათმა ვერ მოახერხა მარტო; შემდეგ მოიშველია ამხანაგები და, როგორც იყო, მოახერხეს მისი თავის მოკვეთა. ეს ამბავი ამაზრზენის მღელვარებით ასწერა გაზეთში ვიქტორ ჰუგოს შვილმა, რომელიც სამართალში იქმნა მიცემული, უპატივცემულოდ მოექეცი შენ კანონებსაო. ვიქტორ ჰუგო წარსდგა სასამართლოს წინაშე შვილის დამცველად და, სხვათა-შორის, სთქვა: „სიკვდილით დასჯა კაცისა უნდა უარ-ყოფილ იქმნას. ყველა ჭეშმარიტი ბრძენი ამ აზრისა იყო და არის. ყველა ისინი ამტკიცებენ და ჰღაღადებენ, რომ თავის მოკვეთის მაშინა არ შეეფერება იმ საზოგადოებას, რომლის წიგნიც სახარებაა.

„ნამდვილი დამნაშავე თუ გინდათ, ჩემი შვილი-კი არ არის, მე ვარ. 25 წელიწადია ვებრძვი მე მაგ კანონს, ვიცავ იმ აზრს, რომ ადამიანის სიცოცხლეს ხელი არავინ ახლოს.

„მაგ ნაშთს მტარვალთა კანონებისას, მაგ ძველსა და დაობებულს სჯულს ტალიონისას, მაგ მოძღვრებას სისხლისას სისხლის წილ—ვებრძვი მთელი ჩემი სიცოცხლე და, ვიდრე პირში სული მიდგია, არ დავყრი ფარ-ხმალს. ვაცხადებ ამას ხმა-მაღლა (და ვიქტორ ჰუგომ ხელები გაიწოდა ჯვარცმისკენ, რომელიც სამსჯავროს დარბაზში ეკიდა) მაგ სიკვდილით დასჯის წმინდა მსხვერპლის წინაშე, რომელიც გვხედავს ჩვენ, გვისმენს ჩვენ...“

დიაღ, დიდებულ კაცთ არ ასცდათ ტანჯვა და წამება, როგორც იესოს არ ასცდა ჯვარცმა. მაგრამ მათმა ტანჯვა-წამებამ დაგვიხსნა ჩვენ გაჭირვებისაგან, უარესის უბედურებისაგან; მათმა ტანჯვა-წამებამ გაგვაბედნიერა ჩვენ, ქრისტეს ჯვარცმამ გვაცხოვნა ჩვენ სწორედ სიკვდილივე სთრგუნავს სიკვდილს და მხოლოდ სიკვდილის მტვირთველი ანიჭებს ცხოვრებას საფლავების შინათა!

◆

უცხოეთი

—

ინგლისი. ლონდონში 19 აპრილმა მშვიდობიანად ჩაიარა. სოციალისტები ჰაიდ-პარკში შეიკრიბნენ. ანარხისტებმა-კი ვეღარ მოახერხეს, რომ იქვე კრება გაემართათ: ხალხმა სიცილი და კიჟინი დააყარა და ისე გარეკა.

—

ინგლისის პარლამენტმა პირველ წაკითხვის დროს შეიწყნარა პროექტი შოტლანდიის შინაგან მართველობის ცვლილების შესახებ. განზრახვა აქვთ შოტლანდიას მიანიჭონ ისეთი უფლებანი შინაურ საქმეებში, რომელიც სრულად დამოუკიდებლად გახდის ამ ქვეყანას ინგლისისაგან.

—

იტალია. რომი სავსეა ისპანიელის პილიგრიმებით, მწირებით იქაურის გაზეთების სიტყვით, მათი რიცხვი 10,000-სს აღემატება. საითაც უნდა წახვიდეთ: ქუჩაში, მოედანზედ, საყდარში, მუზეიში—ყველგან შეხვდებით ბრბოს ხალხისას ტანდაბალთ, პირ-მოპარსულთ, ისპანიურ ტანისამოსში. უმრავლეს რიცხვს ამათში შეადგენენ ბურჟუაზია და დაბალი ხალხი; აგრეთვე მათში მრავლად ურევიან ბერები ყველა ხარისხისა, სემინარიელები და პატრები; დედაკაცობა ძლიერ ცოტაა და თუ არიან, თითქმის ყველა მოხუცებულია. ძალიან მორიდებით და მშვიდათ იქცევიან, დიდის გულმოდგინებით სინჯავენ ყოველსავე ღირს-სანახავს წმ. ქალაქისას, დადიან აგრეთვე წმ. ნაწილების სალოცავად, რომელიც ყოველთვის ღიაა მლოცავებისთვის. განსაკუთრებით ბევრს შეხვდებით წმ. პეტრეს ტაძარში და ვატიკანში.

პაპმა ბრძანება გასცა, ვატიკანში ყველა სადგომის კარი ღია იყოს, აგრეთვე ბაღებისა, წიგნთ-საცავისა და რადგან პილიგრიმები სულ მცირე ფასად ჰშოულობენ ჩარჩებისაგან ბილეთებს, ადვილად შეუძლიანთ გასინჯვა ვატიკანის სწორედ რომ გასაცვიფრებელის განძეულობისა, რომლის ნახვაც სხვა დროს შეუძლებელია უბრალო კაცისათვის.

პილიგრიმების მოსვლის გამო დააწესეს რამდენიმე საეკკლესიო დღესასწაული. მაგალითად კვირას, 3 აპრილს, დილით სადღესასწაულო წირვა იყო, რომელსაც დაესწრნენ ყველა კარდინალნი, ეპისკოპოსნი და სამღვდელონი ახლად წმიდათა შორის შერიცხულს ისპანიის ბერი ჟანა დ'ავილას სადიდებლად, რომელიც გარდაიცვალა ამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. წირვა შეასრულა წმ. პეტრეს ტაძრის წინამძღვარმა, კარდინალმა რამპოლლამ; ჰგალობდა პაპის კაპელლა, რომელიც განთქმულია მშვენივრად შერჩეულის ხმებით. იგი რიცხვით მრავალი არ არის, სულ 30 კაცია, მაგრამ იმათ მწყობრსა და მშვენიერს გალობაზედ უკეთესს ადამიანი ვერას წარმოიდგენს.

რომის საზოგადოებას ამისთანა დღესასწაულები ძლიერ უყვარს, რის გამოც წმ. პეტრეს ტაძარი, რომელშიაც რამდენიმე ათასი კაცი თავსდება, გაჭედილი იყო ხალხით. იმავე დღეს, საღამოს 6 საათზედ, პაპმა გაიხადა ახლად შერიცხულ წმინდანის თაყვანის ცემა და იქ მყოფთ პილიგრიმებს ლოცვა-კურთხევა უწყალობა. პაპი მიჰყავდათ მაღალის სავარძლით და თან ახლდნენ კარდინალები, სასახლის მხლებელნი, გვარდია, შუა საუკუნოების ტანისამოსში მორთული, ამ რიგად პაპმა გაიარა მთელი ტაძარი და მივიდა უმთავრესს საკურთხეველთან, საიდგანაც მცირე ლოცვის შემდეგ წაბრძანდა თავის სადგომში. გარეგანის შეხედულობით პაპი დიდად დაუძლურებუ-

---

ხმაურობა მოისმოდა—აი კიდევ სახუმარო ამბავი!... წამოდით, უყუროთ... ყველანი გაჰყვნენ ვასოს, მიუახლოვდნენ ბაღის მოაჯირს, ქუჩის ნაპირას ჩავლებულს, და ზედ დაეყუდნენ „კაცი-კალია“-ს და იმის „სვიტის“ მოლოდინში.

გაიარა ორმა წამმა; ხმაურობა მოახლოვდა, ახლა-კი ცხადად გაარჩევდით საერთო ყვირილში შემდეგ სიტყვებს: „კაცი-კალია!“ «კალია, კალია!..» „ციმბირელო კალიაააა!..“ უ...უ...უ...უ...

მალე გამოჩნდა თვით მყვირალთა გუნდიც, რომელსაც შეადგენდა ათი თუ თორმეტი პატარა ქუჩის ბიჭი. მათში ერივნენ ზოგიერთნი ულვაშოსანნიც და მონაწილეობას იღებდნენ ამ ჟრიამულში.

ბრბოს წინ მორბოდა, რამდენადაც-კი შეეძლო იმის დაუძლურებულს ფეხებს, ესე 55—60 წლის კაცი, მთლად გათეთრებულის თმა-წვერულვაშით, რომელსაც, როგორც სჩანდა, სავარცხელი დიდი ხანი იყო არ მიჰკარებოდა, რადგანაც თმა სულ აბურძგნული ჰქონდა და აწეწილი მოხუცის სახე ოდესმე ლამაზი უნდაყოფილიყო: მაღალი შუბლი ჰქონდა, პირისახე სწორედ მოყვანილი, თვალები დიდრონი, მაგრამ ხანსა და ცხოვრების ქარტეხილს შეელახა ეს სიმშვენიერე თავისის ულმობელის დაღით; მთლად დაღარილი, დანაოჭებული სახე საშინლად გაჰფითრებოდა და ოდესღაც სიცოცხლის გამომეტყველი თვალები ეხლა მიმქრალიყო და ოდნავ-ღა ბჟუტავდა. მაღალი, გამხდარი ტანი, მხრებში მოხრილი, შეემოსა ჯილის რუსულის ფარაჯით, რომელსაც უკანა ნაოჭის გადასახლართავი გაწყვეტოდა და ჩიტის საფთხეველასავით აფრიალებდა ფარაჯის კალთებს. ფეხები წაღების მონაჭერში ჩაედგა და ათას ალაგას დაკონკებული შალვარი ძლივს უფარავდა გამომხმარს წვივებს კოჭებამდე. თავზე ,,კარტუზ‘‘ მოგლეჯილი გაქონილი ქუდი ეხურა. ხელში ეჭირა სქელი და გრძელი ჯოხი, რომელსაც გაალმასებული რკინის შუბი ჰქონდა წვერზე წამოცმული. ამ რიგად მორთულ-მოკაზმული ეს კაცი მართლა სასაცილო სურათს წარმოადგენდა.

ეს მოხუცი გახლდათ სიმონა ჯანირაშვილი, იგივე „კაცი-კალია“, „ციმბირელი“ და პატარა ბაღლების ბრბოც სწორედ იმას დასდევდა ჟივილ-ხივილით.

სვიმონა ბაღისაკენ მორბოდა; საწყალი მთლად ოფლში იყო გაწურული; ხანდახან იმისი ტანჯვა-მწუხარების გამომხატველის თვალებიდამ სიბრაზის ნაპერწკალი გამოჰკრთებოდა; მასხარად აგდებული რამდენსამე ხანს შესდგებოდა ერთს ადგილას და მუქარით უქნევდა ჯოხს თავის მდევარს; ამასთანავე უშვერის პირით ლანძღავდა. ბიჭები ფეხ-და-ფეხ მოსდევდნენ სიმონას, ზოგი მათგანი წინ წამოურბენდა, შეუკივლებდა „კაცი-კალიას“, ანუ „ციმბირელს კალიას“!.. და სწრაფად მიიმალებოდა რომლისამე შენობის კუთხეში. გაბრაზებული სიმონა-კი ჯოხს მოუქნევდა, რასაკვირველია, ააცდენდა ხოლმე და დაიწყებდა ბარბაცს. კვლავ ატყდებოდა ბიჭების ხარხარი და გაორკეცებული ჟრიამული.

სიმონა და მისი მდევარი გამოსცდნენ დუქნებს, რომლიდამაც, ყვირილის გაგონებაზე, გამოცვივდნენ მუშტარ-მოვაჭრენი და ამ სასაცილო სანახავს ღიმილით შესცქეროდნენ. ბაღში ამ დროს, ზემო ხსენებულის ახალგაზდობის გარდა, სხვებიც იყვნენ; ქუჩის «გასათელად» გამოსულნი დაყიალობდნენ. ეს მოსეირნენი, რომელთა შორის ორს თუ სამს „ნიკოლოოზის“ დროის შინელი ესხა, სიმონას ქუჩაში გამოსვლით სიცილის მადაზე მოსულნი, მოაჯირთან მივიდნენ და იწყეს ხითხითი. მოხუცი დაიღალა, მუხლი თანდათან მოეკრა და ძლივს-ღა სდგამდა ფეხებს. ამ გარემოებით წაქეზებული დამცინავები უფრო მიუახლოვდნენ და დაუწყეს ზედ ხტომა, აქეთ-იქიდამ ხელებით წევა, ერთის სიტყვით, ამ დროული კაცი ბზრიალასავით დაატრიალეს.

სიმონამ ვეღარ შესძლო სიარული დ, რომ ვეღარა გააწყო-რა ბრბოსთან, ერთის სახლის კედლის ძირას ჩაჯდა, ბაღის მოაჯირის პირდაპირ; იმ მოაჯირთან იდგნენ ილიკო და მისი ამხანაგები და აქეზებდნენ პატარა ბაღლებს—ეწვალებინათ სიმონა, თანაც გულიანად ხარხარებდნენ.

სიმონა თავ-ჩაქინდრული იჯდა კედლის ძირას, კედელზე მიყრდნობილი. ბიჭები გარს შემოეხვივნენ და დაუწყეს კივილი: „ციმბირელო კალია, კაცი-კალია, კალია, კალია, უ...უ...უ...უ“. ზედ ახტებოდნენ, ჯოხის წართმევას ლამობდნენ, მაგრამ მოხუცი ხმას არა სცემდა, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო და გაშტერებული იყო; მისი თვალები უსაგნოდ დასცქეროდა მიწას და არავითარი აზრი არ იხატებოდა მის სახეზედ; საცოდავს კაცს სიტყვა გაუწყდა პირში, ენა მუცელში ჩაუვარდა და სულ გაქვავდა. ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმა ბიჭმა ხელის ტუჩებთან მიტანით ყველანი გააჩუმა, თითონ-კი კედელ-კედელ გაჰყვა და ფეხ-აკრებით სიმონას ეპარებოდა. ყველა იქ მყოფი გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს ბიჭის მოქმედებას, თითქოს ერთის დიდის მნიშვნელობის საქმე უნდა გადაწყვეტილიყო. აი მიუახლოვდა სიმონას, თავს წაადგა, მერე წასწვდა, მოჰხადა ქუდი, სწრაფად მიწას დაახალა და გადმოხტა ამხანაგებისაკენ, რომლებმაც საშინელი ხარხარი ასტეხეს; მათ ბანი მისცეს დანარჩენმა იქ მყოფებმაცა.

მოხუცმა ვერც-კი იგრძნო ეს დამცირება; მხოლოდ ერთის წუთით მოაშორა თვალი მიწას, შეჰხედა პატარა მტანჯველს და კვლავ ნიშანში ამოღებულს ადგილს დააშტერდა. დამცინავ ბიჭზე-კი ისე იმოქმედა ამ უაზრო, გაქვავებულმა ცქერამ, რომ საწყალს ბიჭს თითქმის სისხლი გაეყინა ძარღვებში და მაშინვე მოშორდა სიმონას. ბევრნი გაჰყვნენ იმასთან. ზოგნი-კი დარჩნენ და არ იშლიდნენ ყვირილს, მასხარობას, მაგრამ ისინიც მალე ჩამოეცალნენ, რადგანაც სიმონა სულ არა სცემდა ხმას და, თავიანთ მოქმედების სიტკბოებას-კი ისინი მხოლოდ მაშინ ჰგრძნობდენ, როდესაც სიმონა ბრაზდებოდა და ჯავრობდა. ამ რიგად ყველანი შემოეფანტნენ და დარჩა სიმონა მარტოდ-მარტო კედლის ძირას. მოვაჭრენიც დაბრუნდნენ დუქნებში, ბაღში მოსეირნეებმაც თავიანთი სიამოვნება განაგრძეს, მხოლოდ ილიკო და იმისი ამხანაგნი იდგნენ მოაჯირთან და სიმონას ადევნებდნენ თვალს.

(დასასრული იქნება)

ლია და მოხუცებული; ეტყობოდა, დიდად ეძნელებოდა სავარძლიდგან ადგომა და დალოცვა მლოცველებისა, მაგრამ მის თვალებს-კი ცხოველი გამომეტყველება და ბრწყინვალება აქვს შერჩენილი.

ხალხი დიდად მრავალი იყო. იმათი ალტაცება, დაუსრულებელი ტაშის ცემა და „evviva il Papa-Re“-ს ძახილი აუწერელია; პაპის წასვლის შემდეგაც დიდხანს ყვიროდა და ტაშსა სცემდა ხალხი, მაგრამ როგორც-კი ტაძრის კარის ბჭეს გამოსცდებოდა ეს ალტაცებული ხალხი, წამსვე ისევე დამშვიდებულ და ჩუმ შეერთებულის იტალიის მოქალაქეთა გროვად და მეფის ერთგულ ქვეშევრდომებად გადაიქცეოდა ხოლმე. ეკკლესიის გარეთ მაინც ჯარი იდგა, მრავალი ჟანდარმები და ესეც ჰმოქმედებდა ხალხზედ.

მომავალს კვირასაც ასეთსავე დღესასწაულს მოელიან ისპანიის ბერის წმიდათაშორის შერიცხვის გამო, რომლის შემდეგ ლოცვა-კურთხევას მიიღებენ პაპისაგან ის პილიგრიმები, რომელთაც პირველში ვერ მიიღეს. თავის მიწვრილობაში პილიგრიმებთან, რომელიც გამოცხადებულ იქმნა ამ დღეებში, პაპი იხსენიებს ამბოხებას, რომელმაც თავზარი დასცა სოციალურს წესს და სცდილობს დაუმტკიცოს, რომ ხსნა საზოგადოებისა იმაში მდგომარეობს, რომ მან მტკიცედ აღასრულოს აღთქმანი კათოლიკეთ ეკკლესიისა, ვინაიდგან ეკკლესია ესე მთელის ისტორიის განმავლობაში სცდილობდა ხალხისთვის მიენიჭებინა ის კეთილ-დღეობა რომელიც-კი შესაძლებელია ქვეყანაზედ. დასარულს დასძენს: რათა უფრო უკეთესად გავრცელდეს კათოლიკეთ ეკკლესიის იდეა, გარდავსწყვიტე დავაარსო რომში კოლლეგიუმი ისპანიელ ახალგაზრდათა აღსაზრდელად, რათა ისინი გამზადებულ იქმნენ სამღვდელოდ და ჩემ-დედაზართა ერთგულნი გამავრცელებელი იყვნენო.

გუშინ და დღეს პილიგრიმებმა თაყვანი სცეს წმ. ადგილს და დაიწყეს წასვლა რომიდგან, ხოლო მათ მაგიერად ახლა ახლები მოდიან და ამ ორ დღეში ოთხ ათასზედ მეტი შეიკრიბა.

გასართობი

—

ერთმა მდიდარმა კაცმა მღვდლისაგან ნამკვდრევის კაცის ქუდი იყიდა. შინ რომ მიიტანა, ცოლმა უთხრა თაკილით:

— შე დალოცვილო, ნამკვდრევი რომ არ გეყიდნა, ბაზარში ქუდები გაწყვეტილიყო...

— არა, ჩემო საყვარელო, უპასუხა ქმარმა: ეს ნამკვდრევი ქუდი თავზედ რომ მეხურება, როცა სიკვდილის დროს სულთა-მხუთავი მოვა და ზევიდგან დამხედავს, ქუდს დაინახავს მოტყუვდება, იფიქრებს: ამისთვის ხომ სული ამამირთმევიაო, და მომშორდება.

**

ერთს მებატონეს ცხვირზედ ბუზი დააჯდა, ხელი აუქნია და გაჯავრებითა სთქვა:

— შე ოხერო, ჩემს საყმოში ჩემის ცხვირის მეტი ადგილი ვერა ნახე?!,“

**

ძუნწს ერთი ცხენი ჰყავდა. იფიქრა:

— ამ ჩემ ცხენს თუ ჭამა და სმა არ გადავაჩვიე, არ იქნებაო.

ის საწყალი ცხენი იქამდის ამარხულა, რომ შიმშილით სული ამოაძრო: შემდეგ სთქვა თავისთავად:

— ეს ოხერი ცხენი, რაღა ეხლა მოკვდა როცა სმა-ჭამას გადავაჩვიეო!..“

დეპეშა

26 აპრილი

პეტერბურგი. ამ დღეებში განიხილავენ რკინის გზის გაყვანის საქმეს პერმიდამ კოტლასამდე და რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელთა დაარსებისას ციმბირში.

კონსტანტინეპოლი. მსოფლიო პატრიარხატის საბჭოს მიერ არჩეულმა დეპუტაციამ წარუდგინა დიდ ვეზირს ქაღალდი წინააღმდეგ ხონთქრის იმ ბრძანებისა, რომელიც შეეხება ბოლგართა ეპისკოპოსების დანიშვნას მაკედონიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 22 აპრილი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,,45	7,,49	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149½	150	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	225	— ,,	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	246
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	149½
გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	102
5%	— ,,	— ,,	100
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	— ,,	102
5%	— ,,	— ,,	100
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	199	— ,,	— ,,

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(ტფილისში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ბალახეულის კარამელი
ხველების წამალი
„პექტო ბოსს“
ბ. სუმადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ. Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რგინის კოლოფისა 25 კაპ.
M. (20—20)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—186)

დაიბეჭდა და ისყიდება
ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში
მეორე გამოცემა წიგნისა:
УЧЕБНИКЪ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ
СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ
цѣна 50 коп.
(10—10)

ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბ-ისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში, წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. მენთეშაშვილთან.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით,

თხზ. დ—რის ლორენსისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

ახალი ამბავი!
ლამპრის პატრუქები

გაქდინთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჰხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიაებში:

ზაპოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე გართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში, მანთაშოვის სახლში.

ე. ფ. ჯანადოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჰაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა.
(15—2)

„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

„ნევის პარიზელი“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. და ოდეკ.

С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ ТЕХНО-ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРИЯ ФАБР. МАРКА УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛЬСТВ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—36)

Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Апрѣля 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე